აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 29

27/09/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „სამართლიანობისთვის“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა (2024 წლის 26 სექტემბერი) საარჩევნო სუბიექტმა „სამართლიანობისთვის“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არ წარმოადგინა პარტიული სია, რაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად იწვევს პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. გაუუქმდეს საარჩევნო რეგისტრაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტს **„სამართლიანობისთვის“** და მის წარმომადგენლებს **ლაშა უსტიაშვილს** და **სალომე მახარაძეს.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე